

ევკლიდური სივრცისა და სიბრტყის ერთგვაროვანი დაფარვების შესახებ

მოხსენებაში განხილული იქნება ევკლიდური სივრცისა და სიბრტყის ჟორდანის წირებით ერთგვაროვანი დაფარვების საკითხი. აგებული იქნება წრეწირებით სივრცის ერთგვაროვანი დაფარვის კონსტრუქცია. აგებული იქნება კონგრუენტული წრეწირებით სივრცის ლუწი ერთგვაროვანი დაფარვის კონსტრუქცია. ნაჩვენები იქნება კონგრუენტული წრეწირებით სივრცის კენტი ერთგვაროვანი დაფარვის არსებობა. წარმოდგენილი იქნება იმავე საკითხის გადაწყვეტა სიბრტყისათვის. სივრცისა და სიბრტყის ერთგვაროვან დაფარვებს შორის არსებული პრინციპული განსხვავების საფუძველზე, როგორც შედეგი მიღებული იქნება ცნობილი დებულება ევკლიდური სივრცისა და ევკლიდური სიბრტყის არაჰომეომორფულობის შესახებ.